

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს
სადისციპლინო კოლეგიის (2004-2006) და საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის (2006-2013)

გადაწყვეტილებათა განზოგადება

სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე

(2004-2013 წლები)

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს საქმისწარმოების პროცესში მოსამართლეთა იმ ძირითადი დარღვევების ჩამონათვალს, რომლებიც სადისციპლინო კოლეგიამ ჩათვალა (ან არ ჩათვალა) დისციპლინურ გადაცდომად 2004-2013 წლებში.

გადაცდომები პირობითად დაჯგუფებულია 24 კატეგორიად. ზოგი გადაცდომის არსი დაკონკრეტებულია შენიშვნის სახით.

ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეებზე ჩადენილი დარღვევები მოცემულია დახრილი შრიფტით.

კახა წიქარიშვილი

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის წევრი

ირაკლი გვარამაძე

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის მრჩეველი

I. ბაჟი

1. ადმინისტრაციულ სარჩელზე ხარვეზის დადგენა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო;¹
2. სარჩელის განხილვა ისე, რომ მასზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი;
3. სარჩელის დაკმაყოფილების მიუხედავად ბაჟის გადახდის მოსარჩელისთვის დავალება, ვინაიდან მოპასუხე გათავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან;²
4. სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსამართლემ არ იმსჯელა ბაჟის საკითხზე;

II. სასამართლოს არაგანსჯადი საკითხის განხილვა

5. სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება, რომლის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს;³

III. სასამართლოს განსჯადი საკითხის (საქმის) განხილვაზე უარის თქმა

6. მოსამართლემ უარი უთხრა განმცხადებელს უდაო წარმოების წესით დაბადების რეგისტრაციის ფაქტის დადგენაზე იმ მოტივით, რომ განცხადება არ ექვემდებარებოდა სასამართლო უწყებას;
7. სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ იმსჯელა შეგებულ სარჩელზე (კოლეგიამ მიიჩნია, რომ ეს წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას);
8. მოსამართლემ არ განიხილა და არ იმსჯელა მხარის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით;

IV. სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა

9. სააღსრულებო ფურცელის გაუცემლობა მხარის მოთხოვნისას;
10. სარჩელის წარმოებაში მიღება სახელმწიფო ბაჟის საკითხზე მსჯელობის გარეშე;
11. განმწესრიგებელი სხდომის ჩაუტარებლობა ადმინისტრაციულ საქმეზე;

¹ გადაცდომის ჩადენის დროისთვის მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით „ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას“;

² სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან;

³ გადაცდომის ჩადენის დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს. აპელაციის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (მესამე პირს);

12. სასამართლო გადაწყვეტილების არ გაგზავნა მხარეებისთვის;

V. შეცდომა მხარის უფლებამოსილების განსაზღვრისას

13. არაუფლებამოსილი პირის შუამდგომლობის დაკმაყოფილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ (მხარის წარმომადგენელს არ ჰქონდა მინიჭებული სათანადო უფლებამოსილება);

14. სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გაგზავნა არაუფლებამოსილი პირისათვის;

15. ვადაგასული რწმუნებულების მიუხედავად მოსამართლემ დააკმაყოფილა მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა (საქმისწარმოების შეჩერების თაობაზე);

VI. განსჯადობის წესების დარღვევა

16. ტერიტორიული განსჯადობის წესების დარღვევა;⁴

17. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განხილვა სამოქალაქო წესით (მაგ. მაშინ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე);

VII. საქმისწარმოების ეტაპის გამოტოვება

18. კერძო საჩივარი მისი განხილვისა და დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში უნდა გადაგზავნილიყო ზემდგომ სასამართლოში, თუმცა სასამართლომ ის არ განიხილა და პირდაპირ გადააგზავნა ზემდგომ სასამართლოში (რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლი);

19. მოსამართლემ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები ისე გაუგზავნა მოპასუხე მხარეს, ისე, რომ არ გამოუტანია განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ;

20. საქმეში არ მოიპოვება მოსამზადებელი სხდომის და არც მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინებები. მოსამართლემ პირდაპირ დაიწყო საქმის განხილვა;

21. სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, უარი უთხრა მხარეს მის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა, რომ აღნიშნული განჩინება საჩივრდებოდა გადაწყვეტილებასთან ერთად (კოლეგიამ მიუთითა, რომ კერძო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად 5 დღის ვადაში უნდა გადაგზავნილიყო ზემდგომ სასამართლოში);

22. საქმეში არ არსებობს სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინება (კოლეგიამ ჩათვალა, რომ 5 დღის ვადის გასვლის შემდეგ სარჩელი წარმოებაში მიღებულად ითვლება, ამ ნაწილში მოსამართლე გამართლდა);

⁴ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლენილ იქნა ერთი რაიონის ტერიტორიაზე (შესასვლელთან), ხოლო საქმე განიხილა სხვა რაიონის სასამართლომ;

VIII. სამართალწარმოების ეტაპების გადანაცვლება

23. საქმის განხილვის პროცესში გამოვლინდა, რომ არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, დაუდგინდა ხარვეზი და გადაუხდელობის გამო სარჩელი დარჩა უმოძრაოდ;
24. მხარეთა პაექრობის დასრულების შემდეგ მოსამართლე გავიდა სათათბირო ოთახში, შემდეგ დაბრუნდა და კვლავ განაახლა საქმის განხილვა;

IX. საქმეთა განაწილების წესების დარღვევა

25. საქმის გადაცემა ერთი მოსამართლიდან მეორეზე ყოველგვარი სათანადო პროცედურების და სამართლებრივი წინაპირობების გარეშე;

X. მხარეთა უფლებების დარღვევა

26. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე;
27. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე;

XI. საქმისწარმოების განხორციელება არაქართულ ენაზე

28. რუსულ ენაზე შემოტანილი შუამდგომლობის დაკმაყოფილება;
29. რუსულენოვანი განცხადების წარმოებაში მიღება;
30. რუსულენოვანი სარჩელის წარმოებაში მიღება;

XII. საპროცესო მოქმედების განხორციელება ან გადაწყვეტილების მიღება სათანადო წინაპირობების გარეშე

31. გაერთიანების შესახებ განჩინების მიუღებლად საქმეების ერთად განიხილვა;
32. განმცხადებლის მიერ არასათანადოდ დამოწმებული დოკუმენტაციის წარდგენის მიუხედავად, გადახდის ბრძანების გაცემა;⁵
33. არასრულწლოვანი პირისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;

⁵ დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადც განცხადება დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ უნდა შეიცავდეს წამოყენებული პრეტენზიის დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულების შესაბამისი დოკუმენტები დამოწმებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი;

34. საქმის წარმოების შეჩერება მოსარჩელის მივლინების გამო, თუმცა საქმეში არ მოიპოვება მივლინების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება;
35. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელე არ იყო სხდომაზე მოწვეული კანონით დადგენილი წესით;
36. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენის გარეშე უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება (სსკ-ის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
37. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მხარის მოთხოვნის გარეშე;
38. მოსამართლემ ისე დააკმაყოფილა უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადების შესახებ მოქალაქის განცხადება, რომ განცხადებაში არ იყო მითითებული რა მიზნით ჭირდებოდა განმცხადებელს უგზოუკვლოდ დაკარგულად პირის გამოცხადება;
39. იმ მოტივით, რომ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობი იყო, მოსამართლემ შეაჩერა საქმის წარმოება;
40. სასამართლომ დაამტკიცა მორიგების აქტი, რომელსაც ხელს აწერს არაუფლებამოსილი პირი;
41. ხარვეზიანი სარჩელის წარმოებაში მიღება (სარჩელში არ იყო მითითებული მოპასუხე);
42. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა და დაკმაყოფილება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ;
43. საქმის განუხილველად დატოვება იმის მიუხედავად, რომ მხარეები არ იყვნენ დაბარებული სასამართლოში კანონით დადგენილი წესით;
44. საქმის წარმოების შეჩერება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლემ საქმისწარმოება შეაჩერა მხარის ავადმყოფობის გამო, თუმცა საქმეში არ დევს შესაბამისი ცნობა);
45. მხარეებზე უწყებების არ გაგზავნა და ამის შედეგად მხარეთა გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება;
46. ადმინისტრაციულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა;
47. საქმის წარმოების განახლება ისე, რომ საქმე არ იყო შეჩერებული (არ არსებობდა შეჩერების განჩინება);
48. მოსამართლემ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ისე ჩააბა საქმეში რომ არ არსებობდა მის მიერ წარმოდგენილი სარჩელი;
49. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა, ისე რომ განცხადებაში არ იყო მითითებული თუ რისთვის ჭირდებოდა განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა;

50. საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების დასაშვებად ცნობა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე;⁶
51. საქმის წარმოების განახლება კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობის გარეშე;⁷
52. იმ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა, რომელიც დასტურდებოდა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობებით;⁸

XIII. დაუსაბუთებელი აცილება (თვითაცილება)

53. მოსამართლემ საქმე ისე აიცილა, რომ არ დაასაბუთა ეს გადაწყვეტილება; არ მიუთითა ნორმა, რითაც იხელმძღვანელა საქმის თვითაცილების დროს;
54. მოსამართლემ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა და საქმე აიცილა დაუსაბუთებლად (ამ ნაწილში მოსამართლე გამართლდა);⁹
55. მოსამართლემ აცილების საფუძვლად მიუთითა, რომ მისი დამოკიდებულება მხარესთან (გაზეთის რედაქციასთან) „არის არაერთგვაროვანი, . . . რაც შეუძლებელს ხდის მოცემულ საქმეში ჩემს მონაწილეობას“;
56. მოსამართლემ განაცხადა თვითაცილება იმის გამო, რომ შეკამათება მოუხდა მხარესთან, რომელმაც გამოთქვა უკმაყოფილება მის მიმართ;

ხარვეზები სასამართლო გადაწყვეტილებაში

XIV. ხარვეზები გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში

57. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენელი აუცილებელი ელემენტის თაობაზე მსჯელობის არქონა;¹⁰

⁶ მოსამართლემ არ შეამოწმა თუ რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს განმცხადებლის მიერ მითითებული ახლად აღმოჩენილი გარემოების თარიღი. დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება დასაშვებია, თუ იგი სასამართლოს წარედგინება დაინტერესებული მხარის მიერ ახალი გარემოების აღმოჩენიდან 1 თვის ვადაში;

⁷ მხარე ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითებდა ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც დადებულ იქნა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. ასევე, მოწმის ჩვენებაზე, რომელიც საქმის არსებითი განხილვის დროს იყო გამოძახებული სასამართლოში მაგრამ არ იქნა დაკითხული. მოსამართლემ ასევე არ შეისწავლა მისი წერილობითი ახსნა განმარტება იმის გასარკვევად მოახდენდა თუ არა გავლენას მოწმის მიერ მითითებული გარემოებები თავდაპირველი გადაწყვეტილების შინაარსზე;

⁸ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლით სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში;

⁹ იმ მოტივით, რომ მოსამართლეს მიემართა სარეკომენდაციო ბარათით მხარის საჩივრის საფუძველზე. ასევე მოსამართლეს ჰქონდა შეტანილი საჩივარი მხარის წინააღმდეგ პოლიციაში ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე. კოლეგიამ ჩათვალა, რომ ასეთ ვითარებაში ეჭვი მოსამართლის ობიექტურობის მიმართ დასაბუთებული იყო და მოსამართლემ საფუძვლიანად აიცილა საქმის განხილვა;

58. მოსამართლემ საქმის განხილვის საპროცესო ვადა გააგრძელა იმ მოტივით რომ მის წარმოებაში იმყოფებოდა 100-ზე მეტი საქმე (გამართლდა);¹¹

59. საქმის განხილვის ვადის 5 თვემდე გაგრძელება დაუსაბუთებელი განჩინებით (მოტივაციის გარეშე);

60. სამოქალაქო საქმის შეწყვეტა იმის გამო, რომ ეს საქმე არ არის სასამართლოს განსჯადი (კოლეგიამ მიიჩნია, რომ ასეთ შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი არ ითვალისწინებს);

XV. მატერიალურ სამართლებრივი ნორმის არასწორი გამოყენება

61. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა არა "კანონმდებლობის დარღვევით აშენებულ შენობა-ნაგებობათა მთლიანად ან ნაწილობრივ იძულებით დანგრევისა და მშენებლობის წესის" პირველი მუხლი, არამედ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლები;

XVI. მოსამართლე გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს

62. მოსამართლემ სამოქალაქო საქმეზე დაადგინა მოპასუხის იძულებით მოყვანა, რასაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს;

63. მხარისთვის იმის მიკუთვნება, რაც მას არ მოუთხოვია (მხარე ითხოვდა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მოსამართლემ მიაკუთვნა 1260);

64. მოსამართლემ უსწორობის შესახებ განჩინებით შეცვალა მოპასუხისთვის დაკისრებული თანხის ოდენობა;

65. სასამართლომ გადაწყვეტილებით ქმედების განხორციელება დაავალა პირს, რომელიც მხარედ არ იყო ჩაბმული საქმეში;

66. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ აიცილა საქმე, მან განახორციელა საპროცესო მოქმედება ამ საქმეზე (უმოდროდ დატოვა სარჩელი);

XVII. ხარვეზები გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში

67. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებაში ჩამორთმეული ქონების განკარგვის საკითხებზე მითითების არქონა;

¹⁰ სასამართლოს დადგენილებით და სამართალდარღვევის ოქმით არაა დაზუსტებული, რა საბუთები უნდა ჰქონოდა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს, სასამართლომ ცალსახად გაიზიარა შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მითითება, რომ სამართალდამრღვევს საწვავი გადაჰქონდა საჭირო საბუთების გარეშე;

¹¹ (სადისციპლინო კოლეგიამ მიუთითა, რომ ამ ნაწილში ბრალდება უსაფუძვლოა);

68. განჩინების ხელმოწერა იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში;

69. არსებითი განხილვა მხარეთათვის გადაცემული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილსა და მოგვიანებით გაგზავნილი დასაბუთებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილებს შორის;

XVIII. გასაჩივრების წესის არასწორად მითითება

70. სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა, რომ მისი განჩინება (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე) საჩივრდებოდა საკასაციო საჩივრით¹² (ნაცვლად კერძო საჩივრისა);

71. გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული იმ სასამართლოს ადგილმდებარეობა, სადაც უნდა იქნეს შეტანილი სააპელაციო საჩივარი;¹³

72. მოსამართლემ უდავო წარმოების წესით განხილულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა რომ გადაწყვეტილება არ საჩივრდება;

73. მოსამართლემ განჩინებაში არ მიუთითა ამ განჩინების გასაჩივრების წესზე;

XIX. გადაწყვეტილების ფორმის დაუცველობა, ფორმალური გაუმართაობები

74. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განჩინების გამოტანის ნაცვლად მოქალაქისთვის წერილობითი პასუხის გაცემა;

75. საქმის წარმოებაში მიღების და მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინებების ხელმოწერლობა;

76. მოსამართლემ სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა და სარჩელი დააკმაყოფილა ერთი განჩინებით;

77. განჩინებაში მხარეების არ მითითება;

78. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული მისი გამოტანის თვე და წელი;

79. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალებში არსად არ არის მითითებული ესწრებოდნენ თუ არა სამართალდამრღვევი პირები საქმის განხილვას;

80. განჩინების გამოცემა სათანადო ფორმის დაუცველად (გერბის გარეშე);

¹² სადისციპლინო ორგანომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად დაუშვებლობის მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით;

¹³ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით: გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი;

81. განჩინებაში მითითებულია ერთი მოსამართლის სახელი და გვარი, მაგრამ მას ხელს აწერს სხვა მოსამართლე;

XX. სხვა სახის ხარვეზები გადაწყვეტილებაში

82. *სარჩელის აღძვრამდე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ განჩინების გამოტანის ნაცვლად მოსამართლემ განჩინებით ფაქტობრივად დააკმაყოფილა სარჩელი;*¹⁴

83. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნაცვლად, სარჩელის განუხილველად დატოვება (მოპასუხის წარმომადგენელმა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მოსამართლემ სარჩელი დატოვა განუხილველი);¹⁵

XXI. მოსამართლე გაცდა უფლებამოსილების ფარგლებს

84. მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა ნოტარიუსის წინააღმდეგ (ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის მოთხოვნით), ხოლო მოსამართლემ ყადაღა დაადო მესამე პირის ქონებას (კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსამართლეს უფლება აქვს ყადაღა დაადოს მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მოსარჩელეს ეკუთვნის - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

85. *მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არასრულყოფილების მოტივით საქმე არ განიხილა და უკან დაუბრუნა ადმინისტრაციულ ორგანოს;*¹⁶

86. სხვა მოსამართლის მიერ წარმოებაში მიღებულ სარჩელზე ხარვეზის დადგენა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის მოთხოვნით;

XXII. ვადები

87. *შრომითი დავის განხილვა კანონით დადგენილი 1-თვიანი ვადის დარღვევით;*

88. ალიმენტის თაობაზე საქმის განხილვა კანონით დადგენილი ერთ თვიანი ვადის დარღვევით;

89. სამოქალაქო საქმის განხილვის ვადის გაგრძელება ორჯერ, 3-3 თვით (მაშინ როცა კანონი მხოლოდ ერთხელ გაგრძელების შესაძლებლობას ითვალისწინებს);

¹⁴ მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის აღძვრამდე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ - ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა დაუყოვნებლივ განხორციელებინა შპს-ს მიერ საქართველოში საიმპორტოდ შემოტანილი საქონლის განბაჟება. აღნიშნულით მოსამართლემ დააკმაყოფილა არა შუამდგომლობა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ, არამედ ფაქტობრივად დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს დაავალა საქონლის განბაჟება;

¹⁵ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი, რომლის თანახმადაც თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

¹⁶ ოქმს აკლდა დამრღვევის ხელმოწერა და განმარტება და წარმოდგენილი არ იყო მტკიცებულებები;

90. სამოქალაქო საქმის განხილვა 1 წლისა და 16 დღის განმავლობაში;
91. სამოქალაქო საქმის განხილვის გაგრძელება 2 თვეზე მეტი ვადით, ისე რომ საქმეში არ არსებობდა დოკუმენტი საქმის განხილვის ვადის ხუთ თვემდე გაგრძელების თაობაზე;
92. გავიდა საქმის განხილვის 2-თვიანი ვადა, მოსამართლეს არ გაუგრძელებია საქმის განხილვა 5 თვემდე;
93. ალიმენტთან დაკავშირებული დავის განხილვა ერთთვიანი ვადის დარღვევით;
94. სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების განხილვა ვადის დარღვევით;
95. საქმის განხილვის გაჭიანურება 11 თვით;
96. საკასაციო საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით;
97. სასამართლომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განიხილა 5 თვის დაგვიანებით;
98. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმის განხილვის ვადის გაგრძელება 5 თვემდე ვადით;
99. ადმინისტრაციული საქმის განხილვა გაგრძელდა 1 წლამდე ვადით;
100. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა კანონით დადგენილი 15-დღიანი ვადის დარღვევით;
101. გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების შესახებ შეტანილი განცხადების განხილვა არაგონივრულ ვადაში;

XXIII. ტექნიკური გაუმართაობები საქმეში

102. საქმეში არ არის სხდომის ოქმი, საქმე აუკინძავი და დაუნომრავი;

XXIV. სხვადასხვა

103. საქმის თვითაცილების შემდეგ მასზე საპროცესო მოქმედებების განხორციელება (არ დადასტურდა და მოსამართლე ამ ეპიზოდში გამართლდა);
104. სარჩელის უმოძრაოდ დატოვება მაშინ, როდესაც არ იყო გასული ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა.